ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 439

9 სექტემბერი
"---" -------- 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.009.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერიტუსისთვის" (ს/ნ. 405515456) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.009.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერიტუსისთვის" (ს/ნ. 405515456) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 1 სექტემბრის №22.13114.1427 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.009.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერიტუსისთვის" (ს/ნ. 405515456) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 620 (ათას ექვსას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე